ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო, დედის ძუძუი არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

1990 შაბათი 11 აგვისტო №96 (10323) ფასი 3 კაპ.

საქ. კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანო

ОДИШИ — ОРГАН ЗУГДИДСКОГО ГОРОДСКОГО КОМИТЕТА КП ГРУЗИИ, ГОРОДСКОГО И РАИОННОГО СОВЕТОВ НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ

## სამზადისი დროზე დავიწყოთ

[?]რა დროს მოსავლის აღების სამზადისზეა საუბარი, როცა სექტემბერ-ოქტომბერი წინ არის, მარცვლეული კულტურების მეორე გათოხნას ახლახან ძლივს მოვრჩით და სიმინდი სიმწიფის სტადიაში ჯერაც არ შესულაო, — გვეტყვის საქმეში ჩაუხედავი მკითხველი, მაგრამ ვინც ასე ფიქრობს ცდება. მოდით დავეკითხოთ გამოცდილ მეურნეს თუ როგორ იქცეოდნენ მათი მამა-პაპანი.

მოსავლის აღებისათვის სამზადისს გლეხი მარცვლეული კულტურების თესვის კამპანიის დამთავრებისთანავე იწყებდა. წესრიგში მოჰყავდა ყანებამდე მისასვლელი გზები, სასიმინდეები, ურმები, იმარაგებდა გოდრებს და სხვა აუცილებელ სამეურნეო ინვენტარ-მოწყობილობას. ერთი სიტყვით ისეთ თადარიგს იჭერდა, რომ ამინდის ყოველგვარ პირობებში შესაძლებელი ყოფილიყო მოსავლის უდანაკარგოდ აღება.

ასე იყო წინათ. როცა გლეხს საკუთარი ცოცხალი გამწევი ძალისა და დამხმარე მუშახელის გარდა არავისი იმედი არ ჰქონდა.

დღეს კი სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის პერიოდში ყველაფერი ტექნიკაზე და საწვავის მარაგზეა დამოკიდებული. მზადყოფნის მდგომარეობაში გვექნება ტექნიკა, გვექნება საწვავის საჭირო მარაგი, ეს იმას ნიშნავს, რომ მოსავლის უდანაკარგოდ აღება გარანტირებულია, მაგრამ რომელ გარანტიაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა პურის ბეღელს —უკრაინას და სხვა რესპუბლიკებს საწვავისა და სათადარიგო ნაწილების უქონლობის გამო ძლიერ უჭირთ.

შეუძლებელია აუღელვებლად უყურო საკავშირო ტელევიზიის პროგრამა „ვრემიას" გადაცემებს, როცა კოლონებად ჩამწკრივებული ათასობით კომბაინები და ხორბლის სალეწი აგრეგატები საწვავისა და სათადარიგო ნაწილების მოლოდინში დგანან და ცდებიან.

ქვეყნის მასშტაბით საგანგაშო მდგომარეობაა შექმნილი. განსაკუთრებით უჭირთ სოფლის მეურნეობის მშრომელებს. ვინც გაზეთ „პრავდის" 8 აგვისტოს ნომრის პირველ გვერდზე დაბეჭდილი პუბლიკაცია — „მოსავალი იღუპება, ვინ არის დამნაშავე"? — წაიკითხა, არ შეიძლება არ დაფიქრდეს ქვეყნის მასშტაბით სოფლის მეურნეობაში შექმნილმა სიძნელეებმა.

ივლისის თვეში, —წერს „პრავდა", —ქვეყნის აგროკომპლექსში შემავალმა საზოგადოებრივმა მეურნეობებმა მენავთობეებისაგან ვერ მიიღეს 175 ათასი ტონა ბენზინი, 616 ათასი ტონა დიზელ საწვავი. სოფლის მეურნეობას დააკლდა 800 მილიონი მანეთის სათადარიგო ნაწილები, 2800 პურის ამღები კომბაინი, 2400 პურის სალეწი აგრეგატი, 17 ათასი სატვირთო ავტომანქანა. 1987 წლიდან დაუმონტაჟებლად დგას 5700 ხორბლის გასაშრობი ობიექტი, მაგრამ ყველაზე დამაფიქრებელი მაინც ის არის რომ დღეს ლიაცის ქვეშაა 50 მილიონი ტონა ხორბალი, რომელიც დასაღუპავადაა განწირული.

შეუძლებელია ამ მწარე სიმართლემ, სოფლის მეურნეობაში შექმნილმა კატასტროფულმა მდგომარეობამ არ ჩაგვაფიქროს. ხვალინდელი დღის მიმართ რაოდენ დიდად ოპტიმისტური განწყობილებითაც არ უნდა ვიყოთ, ეს მდგომარეობა ყველა ჭეშმარიტ მოქალაქეს შეაწუხებს და სულის სიღრმემდე შეძრავს.

იმ ციფრებთან შედარებით, რომელსაც გაზეთი „პრავდა" თავის მკითხველს აწვდის, ზღვაში წვეთია ჩვენს რაიონში წარმოებული მარცვლეულის მოცულობა. მაგრამ დასაფიქრებელი და დასაღონებელი ჩვენც საკმაოდ გვაქვს, არ შეიძლება ქვეყნის მასშტაბით საწვავზე და სათადარიგო ნაწილებზე შექმნილმა მწვავე დეფიციტმა ჩვენი რაიონის სოფლის მეურნეობაზეც არ იქონიოს ზეგავლენა.

რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკებს ჩვენგან არაფერი ესწავლებათ. არც ამ წერილს აქვს ჭკუის სწავლებისა და რჩევა-დარიგების პრეტენზია. მაგრამ ფაქტია, რომ მოსავლის აღებისათვის სამზადისი აქედანვე უნდა დავიწყოთ. ეს აუცილებელი და გადაუდებელია. საწვავის დეფიციტს განიცდის ნაკლებად არც ზუგდიდის რაიონი განიცდის. არც სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების სათადარიგო ნაწილებით არიან განებივრებული რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელები. ახლა საჭიროა შავი დღისათვის შემოვინახოთ ყოველი კილოგრამი საწვავი, დავაწესოთ მის ხარჯვაზე სასტიკი კონტროლი.

შემოდგომა შორს არ არის. კიდევ ცოტა დრო და დაიწყება სასილოსე მასის დამზადება, სიმინდის მოსავლის აღება. სოფლის მეურნეობის მუშაკებს უნდა ახსოვდეთ, რომ ახლა ყოველი ტონა დაზოგილი ბენზინი და ყოველი ტონა დიზელსაწვავი ეს ათეულობით ტონა დაბინავებული სიმინდი და მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის ესოდენ საჭირო სასილოსე მასაა.

სოფლის მეურნეობის მშრომელებო! გახსოვდეთ! მოსავლის აღებას დაცდა არ უყვარს, საჭიროა აქედანვე დავიჭიროთ თადარიგი.

## 12 აგვისტო მშენებლის დღეა

მშენებლობა სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგია. მასთან განუყრელად დაკავშირებულია ეკონომიკის ყველა დარგის ინტენსიფიკაცია, წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, საზოგადოების მომწიფებული სოციალურ-კულტურული ამოცანების წარმატებული გადაწყვეტა.

ცხოვრების სინამდვილემ გვიჩვენა, რომ გარდაქმნის კურსი, რომელიც კაპიტალურ მშენებლობაშია დასახული, ქმთლიანად შეესაბამება ჩვენი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს: განვლილ ხუთწლეულში გაიზარდა სამშენებლო სამუშაოთა მოცულობა, გაუმჯობესდა ნაგებობათა ხარისხი, შემცირდა ობიექტების მოქმედთა მწყობრში ჩაყენების ვადები, დაჩქარდა დარგის ახალი, დიდნაყოფიერი ტექნიკით აღჭურვა, ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სახელშეკრულებო ვალდებულებათა თაობაზე დადებულმა შეთანხმებებმა —დამკვეთისა და მოიჯარეს შორის, კოლექტიურმა იჯარამ, შრომის ანაზღაურების ახალი, მოქნილი სისტემის დანერგვამ.

ამასთან ერთად დარგში ბევრი გადასაწყვეტი პრობლემაა. მმართველობის არჩეული ფორმები აქ ჯერ კიდევ ვერ გვაძლევენ სასურველ შედეგს. გასული წლის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა მთლიანად არ შესრულებულა, დარგში სრული წესრიგის დამყარებისათვის მთავრობამ სპეციალური გადაწყვეტილება მიიღო. რამდენიმე მილიონი მანეთით შემცირდა ასამოქმედებლად გათვალისწინებულ ობიექტთა საერთო ოდენობა. ახლა ინერგება დაგეგმვისა და დაფინანსების ახალი, სრულყოფილი სისტემა, ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ მშენებლობის შრომის ანაზღაურება ხდებოდეს მხოლოდ საბოლოო შედეგების ზუსტი გათვალისწინებით, ეს კი იმის რეალურ შესაძლებლობებს სახავს, რომ 2000 წლისათვის ქვეყნის ყველა მშრომელი უზრუნველვყოთ კეთილმოწყობილი ბინით ან საკუთარი საცხოვრებელი სახლით.

## მიზანი: პრობლემათა დაძლევა

მიმდინარე წელს დიდი ამოცანების წინაშე დგას ზედაეწერის ჩაის ფაბრიკის კოლექტივი, უნდა გადამუშავდეს 5072 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, ამაღლებულია 100 პროცენტით. ყურადღების ცენტრშია ქართული ჩაის ხარისხის გაუმჯობესება. ცხადია, ეს საქმე ძირითადად პლანტაციაში წყდება, მაგრამ კოლექტივი თავის მხრივ ყველაფერს აკეთებს მის უზრუნველსაყოფად.

ამიტომ შრომითი კოლექტივის თითოეული წევრი მეტ პასუხისმგებლობას იჩენს საქმისადმი.

სხვადასხვა მიზეზის გამო გვიან დავიწყეთ სეზონისათვის მზადება. მიუხედავად ამისა, ხარისხიანად ჩატარდა სარემონტო სამუშაოები. შედეგიც სახეზეა. ვმუშაობთ რითმულად, შეფერხების გარეშე. დღეღამეში ფაბრიკა ამუშავებს 60-70 ტონა ჩაის ხარისხოვან ფოთოლს. პიკის დღეებში კი ეს მაჩვენებელი 75 ტონამდე აღწევს.

ფაბრიკას ზედაეწერელებთან ერთად ნედლეულს აბარებენ ჩხორიელი, რიყელი, ჭკადუაშელი მეჩაიეები. დღემდე გადამუშავდა 3528 ტონა ჩაის ფოთოლი. პროდუქცია ალმაატაში, უფაში და სხვა ქალაქებში იგზავნება. მიწოდების გეგმა განხორციელებულია.

8 მილიონ 187 ათასი მანეთის ნაცვლად გამოშვებულია 8 მილიონ 821 ათასი მანეთის პროდუქცია. შრომისნაყოფიერების გეგმა განაღდებულია 101,4 პროცენტით.

კოლექტივის წარმატებაში მოკრძალებული წვლილი შეაქვთ ცეცხლფარეშ ნ. სემენცოვას, ზეინკალ ა. გურულს, ნ. ღურწკაიას, ა. გაფრინდაშვილს და სხვებს.

ინერგება შრომის პროგრესული მეთოდები, მაგრამ არის პრობლემებიც. მათი დაძლევა კი ყველას და თითოეულის საზრუნავია.

უნდა ითქვას, რომ მოძველებულია მანქანა დანადგარები, ამიტომ საჭიროა მათი გადაიარაღება. მუშათა საყოფაცხოვრებო პირობებიც არ პასუხობს სადღეისო მოთხოვნებს. გათვალისწინებულია საცხოვრებელი ბინების მთლიანი რეკონსტრუქცია. ახლო მომავალში საკონდიტრო წარმოებისათვის გამოშვებული იქნება ძვირადღირებული სალბავები. ურთიერთობას დავამყარებთ საზღვარგარეთის ფირმებთან, რაც მოგვცემს საშუალებას მივიღოთ 800 ათასი მანეთის მოგება.

გადადგმულია ნაბიჯები ფაბრიკა გადავაქციოთ უნარჩენო წარმოებად. ყოველივე ეს თითოეული მუშაკისაგან მოითხოვს მაღალორგანიზებულობას, მომჭირნეობასა და ყაირათიანობას.

შრომითი კოლექტივი ხუთწლედის დამამთავრებელ წელს 7 მილიონ 200 ათასი მანეთის ნაცვლად 8 მილიონი მანეთის პროდუქციის გამოშვებას პირდება სამშობლოს.

ჯ. ცხადაია,
ზედაეწერის ჩაის ფაბრიკის დირექტორი.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## პოლიტიკური პლურალიზმი: გავდივართ დიალოგის გაკვეთილებს

რედაქციაში მოვიდა ახალგაზრდა, რომლის გვარიერებაში ეჭვი არასოდეს შეგვიტანია. ჩვენთან საუბრის სურვილს ამჟღავნებდა. დავთქვით, გვესაუბრა ჩვენს გარშემო მიმდინარე მღელვარე მოვლენებზე. ოღონდ ეს დიალოგი წაგვემართა აბსოლუტური გულახდილობის ნიშნით. დასკვნები კი თავად მკითხველებს გამოეტანათ.

პირველი კითხვა რედაქციის სტუმარმა ვოვა ლუკავამ დაგვისვა.

# საქართველოსთვის უნდა შევკავშირდეთ

**შეკითხვა: — რა აზრისა ხართ პროცესებზე, რომლებიც საზოგადოებრივი განწყობილების ბარომეტრს ასე უმოწყალოდ აქანავებს?**

**პასუხი:** საზოგადოების ცნობიერებაში პოზიტიურ ფაქტებთან ერთად ყოველი ჩვენგანის ისტორიული ხსოვნა ალაგებს უსიამო მოგონებებსაც. ხვდებით ალბათ, ცხოვრების ის ანომალიები მაქვს მხედველობაში, რომლებიც ჩვენს სულში უკმარისობის განცდას, არასრულფასოვნების კომპლექსს აღვივებენ. სწორედ ეს არის ის საფუძარი, რომელიც მასების განწყობილებაში მაღალბალიან „მოწისქვეშა ბიძგებს" წარმოშობს.

**კითხვა: —ალბათ ხალხმრავალი მიტინგი და აქცია ამგვარი ბიძგების ნაყოფია. მაგრამ მოდით, შეკითხვა ასე დავაკონკრეტოთ: რა არის ის, რასაც აბსოლუტურად არ ეთანხმებით, ყოველ შემთხვევისათვის, ცხადად გამიჯნოთ?**

**პასუხი:** შეუძლებელია დაკმაყოფილდეს იმ ლოზუნგებმა, რომლებშიც მხოლოდ უარყოფის, ნგრევის პათოსი დომინირებს. აი, აღმშენებლობითი გზების, ახალი სტრუქტურების დამკვიდრების უნარი კი ნაკლებად იკვეთება. ძალზე გვაკლიებს ეროვნული ძალების დაქსაქსულობა. დღეს ყველა პოლიტიკური ძალა ერთიანი მოქმედების სტრატეგიას უნდა ეძიებდეს. საუბარია საერთო პლატფორმის ჩამოყალიბებაზე და არა პოლიტიკური ბრძოლის სხვადასხვა საშუალებათა უნიფიცირებაზე.

**კითხვა: როგორ ფიქრობთ, საიდან იღებს სათავეს ახალგაზრდული ნიჰილიზმი ოფიციოზი ორგანოებისადმი?**

**პასუხი:** უნდა ვესწრაფვოდეთ ნამდვილ პოლიტიკურ პლურალიზმს და არა მოჩვენებითს. საქართველოს ზნეობრივი და ეკონომიკური ჩიხიდან გამოსაყვან გზებს ყველამ ერთად უნდა ჩავჭიდოთ ხელი. აქ მთავარია დათრგუნო შენს არსებაში უნდობლობის მიკრობები, რამეთუ ისინი ობიექტური განსჯის უნარზე იწყებენ პარაზიტირებას.

**კითხვა: — რა აზრისა ხართ ახლა ასე ხშირად მოხმობილ ლოზუნგებზე: გაუმარჯოს თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოს?**

**პასუხი:** არ გეგულება საღი აზროვნების ქართველი, რომელიც გულგრილი დარჩება ამ საოცრად მომხიბვლელი, წმიდათაწმიდა იდეისადმი. მიტინგებისა და მანიფესტაციების ორგანიზატორებმა გააკეთეს უდიდესი საქმე. მიაღწიეს მიძინებული ეროვნული სულის, ეროვნული ენერგიის გამოღვიძებას. ახლა საჭიროა ამ ძალისხმევის იმ კალაპოტით წარმართვა, როგორიც ეკადრება ცივილიზებულ ერს. გზა ავიღოთ ბრძოლის პარლამენტური გზებისკენ. ჩვენი გონივრული მოქმედებით უნდა დავარწმუნოთ ყველანი, რომ: საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლა არ წარმოგვიდგენია თვითიზოლაციად. პირიქით, ჩვენ კიდევ უფრო გავაღრმავებთ სულიერ, თუ ეკონომიკურ კავშირებს რესპუბლიკებთან. ჩვენ ვესწრაფვით თავისუფალ სახელმწიფოთა ისეთ კავშირს, რომლის ფარგლებში მაქსიმალურად განვამტკიცებთ საქართველოს დემოკრატიულ ბაზას. ახლა, ამ ეტაპზე ჩვენს ხალხს ეძლევა ისტორიული შანსი: ობიექტურად, დემოკრატიული მექანიზმების სრული დაცვით ჩაატაროს საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნები. ცივილიზებულ სამყაროს უნდა ვუჩვენოთ, რომ შეგნებული, სულგრძელი, ჰუმანისტური ტრადიციების ერი ვართ.

**კითხვა: — და მაინც, რა უნდა გადაგვარჩინოს ქართველობა. სად გვეგულებათ ყოველმხრივ შეჭირვებული სიტუაციიდან თავდახსნის გზა?**

**პასუხი:** ყოველი ჩვენთაგანის მოწადინებაში ეროვნული ერთიანობის რწმენაზე „მოვ... ცით" საკუთარ ჯამში მაცქერალი, ორგული ადამიანები... დრო მოგვიწოდებს სრული ეროვნული სიფხიზლისაკენ, რათა აღვიდგინოთ ქართველთათვის დამახასიათებელი ღირსებები, დავიბრუნოთ მიზეზთა გამო დათმობილი პოზიციები. ყოველმა ჩვენგანმა დროებით განზე უნდა გადავდოთ პირადი საზრუნავი და აღვივსოთ მამულის სიყვარულით. იმ მამულისა, რომელსაც მტრები დღემდე არ დალევია. ახლა სხვა ლონის, სხვა სტრატეგიის მოხმობაა საჭირო, სადაც ფხიზელი გონი იდირიჟორებს, ისტორიული განსაცდელისაგან მინიმალური ზარალით გამოსვლის ეროვნული ალღო წაგვიძღვება. ახლა მთავარია მარტო მიტინგების პათოსმა არ შეიწიროს ეროვნული ენერგია, არამედ შეენეთის იგი ერის ასაღორძინებელ კონკრეტულ საქმეებს.

---

### აკაკი წერეთელი — 150

# სალამურო, სალამურო, ხმატკბილო და საამურო...

აკაკი წერეთლის პოეზიის მადლი თითოეული ჩვენთაგანის ბუნებაში თითქოს გაჩენის დღიდანვე არსებობს, როგორც მემკვიდრეობით გადმოცემული, ერთ-ერთი ყველაზე უფრო კეთილშობილი გენი—აუცილებელი ამქვეყნად ადამიანური ცხოვრებისათვის, სიმღერე სულისა, რომელიც ჩვენს პირველ ზრდასთან ერთად იზრდება. მისი მადლიანი პოეზია მეგობარივით ჩვენს გვერდითაა ჭირსა და ლხინში.

როგორ ვეზიარე აკაკის პოეზიას? ბავშვობის ასაკში ჩემზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა დედაჩემის მიერ ჩონგურზე ამღერებულმა ციცინათელამ. ახლაც ხშიანებს ტკბილი და ქრუანტელის მომგვრელი სიმღერა...

სალამო ჟამს, შრომით დაღლილი დედა ჩვენთვის მოიცლიდა, გაცრეცილ წიგნს თაროდან გამოიტანდა და გვიანობამდე გვიკითხავდა ლექსებს.

სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილი ზეიმი იყო პოეზიის მოყვარულთათვის, ორმაგად ზეიმი იყო ჩემთვის თუ კი აკაკი წერეთლის შემოქმედებას გავდიოდით. მოსწავლეები ერთმანეთს ვეჯიბრებოდით მხატვრულ კითხვაში ზეპირად ვიცოდით პოემები „თორნიკე ერისთავი", „გამზრდელი", „ნათელა". ვაწყობდით „პატარა კახის" ინსცენირება.

ა. წერეთლის პოეზიაში თითქმის ყველაფერი ჩვენი სულის შესატყვისია, რა სიძლიერით ეხმიანება დღევანდელობას ეს სტრიქონები:

„იტირე, მიწავ, სამშობლოვ!
ზარი აუშვი ზეცაო!
ისტორიულმა ღვთის რისხვამ
დღეს ჩვენთვის იორკეცაო!"

ცხრაასხუთი წლის გაზაფხულზე ეროვნული მოძრაობით აღფრთოვანებული მგოსანი წერდა:

„ამ დღეს ველოდი, მოვესწარ!
ვიცინი, აღარ ვტირი მე,
ახალგაზრდებო აწ კი თქვენ
გამოდით, თქვენი ჭირიმე!"

აღნიშნულ მოძრაობას არ აცალეს აღორძინება საქართველოს შინაურმა და გარეშე მტრებმა. ერის წინამძღოლი, ერის მამა, ერის მოძღვარი ილია მუხანათურად მოკლეს. იმედებით აღსავსე მოწოდება მხცოვანმა მგოსანმა მწუხარების სტრიქონებით შეცვალა:

„ნუ მიწამლავთ მოხუცს გრძნობას,
და ნუ ამბობთ, რაც არ მჯერა!
ნუთუ მართლა დღეს გადაწყდა
საქართველოს ბედისწერა?!"

გამართლდა პოეტის წინასწარ მეტყველება 70 წლის მანძილზე მრავალი უბედურება დაატეხეს საქართველოს... ახლახან მიწას მივაბარეთ სამშობლოს ზვარაკად შეწირული ქალ-ვაჟები, ეროვნული გმირი მერაბ კოსტავა.

მეორედ გამოფხიზლდა ქართველი ერი ამ საუკუნეში და ისევ ის დროა სულმნათმა მგოსანმა გვითხრას: „ნუ აჩქარდებით, ნურც შიშობთ, განმტკიცდით თქვენი ჭირიმე".

ქ. ფაჩუაშვილი

---

### თვალსაზრისი

# დიახ, გულახდილი საუბარი...

ხანაქებო ახალგაზრდობა გვყავს, ერს ღირსეული საიმედო თაობა ეზრდება. მათთვის მართლაც ღირს თავის დადება თავისუფალი საქართველოსათვის ბრძოლის ხანუკვარ გზაზე...

პირადად მე სრული გაგებით ვუყურებ ჩვენს რესპუბლიკასა და ქალაქში მიმდინარე რთულსა და წინააღმდეგობრივ მოვლენებს, მიტინგებს, ზოგჯერ რადიკალურ და ერთი შეხედვით მიუღებელ მოწოდებებს და გამოთქმებს. ეს ყველაფერი ცხოვრების არაორდინალური ვითარებით, ჩვენი ეროვნული ხასიათის ემოციურობითაც არის ნაკარნახევი; თანაც დარწმუნებული ვარ, რომ ახალგაზრდობის უმრავლესობა სწორად მსჯელობს და სწორი გეზი აქვს არჩეული. მაგრამ აქვე მინდა გულწრფელად ვთქვა — ბოლო დროს გამოჩნდა ერთგვარი შიში, ვაი თუ ზოგჯერ ზღვარს გადაცილებული და მეტისმეტი მოუზომავი, დაუფიქრებელი მოქმედებით, ყოველგვარ ზომიერებას მოკლებული აქციებით კარგად დაწყებული სამომავლო ეროვნული საქმე სულ არ გავაფუჭოთ, უსიამოვნებას, გამოუსწორებელ მარცხს არ გადავეყაროთ.

იმიტომ კი არა, რომ მილიციის მუშაკი ვარ და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა მევალება, არამედ ამჯერად როგორც რიგითი მოქალაქე ვამბობ: დაუშვებელია ხალხის ცხოვრება-საქმიანობა გამუდმებული დაძაბულობის, სიდუხჭირისა და ქაოსის პირობებში. ეს შეიძლება მეტისმეტად კრიტიკულ, საშიშ პროცესში გადაიზარდოს და მერე ვინ იცის, იქნებ ვეღარც ჩვენ შევძლოთ საყვარელი ახალგაზრდობის შველა. ან კიდევ განა დასაშვებია სრული უპატივცემლობა გამოიჩინო იმათ მიმართ, რომელთაც კეთილგანწყობის ნიშნად ქართულ მილიციას უწოდებ და ამავე დროს ქვებსაც უშენ...

ჩვენ ძველებურად როდი ვბოჭავთ და ვზღუდავთ ახალგაზრდობას და არც ძველებური მილიციური მეთოდებით ვცდილობთ წესრიგის დაცვას. ამიტომ თქვენი მხრიდანაც მოვითხოვთ სანაცვლო ურთიერთობას და გაგებას. სადაც არ უნდა ვიყოთ და რა ვითარებაშიც აღმოვჩნდეთ, ელემენტარული დისციპლინა დავიცვათ. პატივი ვცეთ ფორმიან კაცს, რომელსაც შენსავით სამშობლოს სიყვარულით უძგერს გული და არავისზე ნაკლები პატრიოტია. მას ხალხისაგან აკისრია ეს მოვალეობა და ისევ და ისევ ახალგაზრდობის საკეთილდღეოდ დგას წესრიგის სადარაჯოზე.

ამ თემაზე ასე გულისტკივილით იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ ჩვენს პატრიოტ ახალგაზრდობას ბოლო დროს ბევრი უსაქმური და დამნაშავე ელემენტიც მიეტმასნა. შეიძლება მათ სწორი გზიდან აცდინონ ერის ჯანსაღი ნაწილი, არამართლზომიერი მოქმედებისაკენ უბიძგონ და ხიფათს გადაკიდონ მტრის გასახარად. ამგვარი მტკიცების საფუძვლიანობას ჩვენი საქმიანობის ამსახველი ფაქტებიც მოწმობს. არც ისე იშვიათი გახდა თვითმარქვია „სახალხო ფრონტელები", „არაფორმალები", ეროვნული მოძრაობისა და ყოველგვარი კეთილშობილი მიზნებისაგან შორს მდგომი ადამიანები, რომლებიც ამოფარებული არიან პატრიოტიზმის აზრას და ამავე დროს სხვადასხვა დანაშაულს სჩადიან. მინდა, რომ ჩვენი ახალგაზრდობა ფხიზლად იყოს, იზრუნოს თავისი რიგების სიწმინდისათვის, გაბედულად ჩამოიშოროს შემთხვევითი, სახელის გამტეხი ელემენტები.

მე ჩემი ერის და ეროვნული მოძრაობის განუყოფელ ნაწილად ვთვლი თავს. ძალზე მაფიქრებს და მაწუხებს სამშობლოს მომავალი, ჩვენი შთამომავლობის ბედი. სწორედ ამ განცდამ ამაღებინა კალამი, რათა მოძალებული გულისტკივილი გამეზიარებინა ახალგაზრდობისათვის. **იქნებ თქვენც საჭიროდ ჩათვალოთ ჩვენთან გულახდილი საუბარი?!** რა არ მოგწონთ მილიციის საქმიანობაში, როგორ მოვახერხოთ, რომ ქალაქში იყოს წესრიგი. ჩვენ ყოველთვის მზად ვართ ერის საკეთილდღეოდ ახალგაზრდობასთან ვითანამშრომლოთ, რათა მათთან ერთად ვაშენოთ თავისუფალი საქართველოს მომავალი.

ველით გამოხმაურებას!

ი. ჩხეტია,

ზუგდიდის შინაგან საქმეთა განყოფილების სპეცკომენდატურის უფროსის მოადგილე მილიციის კაპიტანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ისარგებლეთ ჩვენი მომსახურებით

# ეს ხელსაყრელია თქვენთვის

ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე გარდაქმნის ფონზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საბანკო დაწესებულებათა კონკურენტუნარიანობას, დღის წესრიგში დგება კლიენტთა მომსახურების ახალ-ახალი ფორმების დანერგვის აუცილებლობა. კარგ პერსპექტივას ხედავს საბანკო დაწესებულებისათვის მოსახლეობაში არსებული ფულადი სახსრების ანაბრებზე მოზიდვა; შემოსული თანხები, როგორც დამატებითი რესურსები შეიძლება მიმართულ იქნას რესპუბლიკისათვის მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებების დასაფინანსებლად.

„მრეწვმშენბანკის" ზუგდიდის განყოფილება მოგმართავთ ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის მუშა-მოსამსახურეებს, მოსახლეობას შემოიტანოთ ფულადი სახსრები ანაბარზე ჩვენს განყოფილებაში, იგი იძლევა გარანტიას ხაიდუმლოს სრულ უზრუნველყოფაზე, მომსახურების ისეთი პირობების შექმნას, როდესაც მეანაბრეს არ დასჭირდება პირადობის დამადასტურებელი საბუთების წარდგენა ბანკში, ექნება მინიჭებული გარკვეული ნომერი წიგნაკში და ამ ნომრით იწარმოებს ოპერაციები მის პირად ანგარიშზე. ასევე განგიმარტავთ, რომ კომერციული ბანკებისაგან განსხვავებით „მრეწვმშენბანკში" შემოსული ყველანაირი სახსრების გარანტი სახელმწიფოა.

საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება ანაბრის სხვადასხვა ვარიანტის მიხედვით მეანაბრეთა და ბანკს შორის დადებულ ხელშეკრულებათა შესაბამისად წლიური სამი პროცენტის დარიცხვით მიღებული თანხიდან. ანაბრის სხვადასხვა ვარიანტის გაცნობა მსურველებს შეუძლიათ ჩვენს განყოფილებაში.

„მრეწვმშენბანკის" ზუგდიდის განყოფილება გთავაზობთ ურიგო მომსახურებას, საიდუმლოს შენახვის სრულ გარანტიას, ანაბრის გამოტანაში შეუფერხებლობას. გთხოვთ, ისარგებლოთ ჩვენთან არსებული პირობებით და გვეწვიოთ შემდეგი მისამართით: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №89, „მრეწვმშენბანკის" ზუგდიდის განყოფილება.

გ. თორია,
„მრეწვმშენბანკის" ზუგდიდის განყოფილების მმართველი.

რევაზ თაბუკაშვილის ხსოვნას

# გემშვიდობება ზუგდიდი

დღესაც თვალწინ მიდგას სამოციანი წლების მშვენიერი აფხაზური სოფელი ლიძავა. აქ, ზურმუხტოვან ზღვის სანაპიროზე, რელიქტური ფიჭვის კორომით დაბურულ, ზღაპრული სილამაზის სამყაროში ქართული ინტელიგენციის სახელოვან წარმომადგენლებს საზაფხულო აგარაკები ჰქონდათ. თვითმხილველი გახლდით იმ საშური რუდუნებისა, რომლითაც ერის ღირსეული შვილნი, თავს დასტრიალებდნენ საავარაკე ნაკვეთებს. თბილისის გაგანია სიცხეს განრიდებულნი, საკუთარი ხელებით გამართული ტალავერის, ნაირგვარი ჯიშის ხეხილით დაბურულული ბაღის ჩრდილში იგრილებდნენ შუბლს ზღვიდან მონაბერი ნიავით. იმართებოდა გულითადი შეხვედრები, მიმზიდველი საუბრები პოლიტიკაზე, ხელოვნებაზე, ლიტერატურაზე. ვის არ ნახავდით აქ: კონსტანტინე გამსახურდიას, ეგნატე ფიფიას, კონსტანტინე ჩაჩავას, იოსებ ნონეშვილის, ვლადიმერ ასათიანს, რობერტ სტურუას, დავით ბადრიძეს, დავით გამრეკელს, ელისო ვირსალაძეს, რევაზ ლაღიძეს და სხვებს. და ამ საოცრად ინტელექტუალური პიროვნებების სული და გული ბატონი რევაზ თაბუკაშვილი იყო. აქ ატარებდა ეს სასიქადულო მამულიშვილი ყოველ ზაფხულს თავის მშვენიერ, ყველასათვის მისაწვდომ, კეთილშობილებით ალსავსე ოჯახთან ერთად. ახლაც თვალწინ მიდგას ძველი ელინელივით ტანსრული, ელეგანტური მიხვრა-მოხვრის ბატონი რეზო თავის „ლომის ბოკვერთან", თმახუჭუჭა ლამაზთან ერთად ზღვის ულურჯეს ტალღებში შეცურებული. ამ ენით აღუწერელ სტიქიაში მონებივრე ქმარსა და შვილს ნაპირიდან სიყვარულით შესციცინებდა ქალბატონი მედეა ჯაფარიძე, ქართული თეატრის მშვენება.

...ო, რა ბედნიერები იყვნენ მაშინ. დღეს კი თაბუკაშვილების ოჯახს მწუხარების შავი სუდარა გადაეფარა. აღარა გვყავს ჭეშმარიტი მამულიშვილი, უბადლო ინტელიგენტი, სიბრძნითა და ჰეწით ქებული, თბილისის დაუვიწყარი კოლორიტი რევაზ თაბუკაშვილი. სამუდამოდ წავიდა ჩვენგან, მაგრამ მისი ნათელი სულის ანარეკლი აქ ტრიალებს, დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად შემართულ საქართველოში ტრიალებს.

ექვთიმე თაყაიშვილზე, მიხეილ თამარაშვილზე, ტექსელის გმირ ქართველებზე, ვიტორიო სელაზე მომზადებული საოცარი ფილმების, სხვა კინემატოგრაფიული შედევრების ავტორი მარად დარჩება ნიმუშად იმისა, თუ როგორ უნდა გვიყვარდეს მამული, რა ზნეობრივ ღირებულებებს უნდა ვაღიარებდეთ ცხოვრებაში განგების შვილნი.

თვალცრემლებული ზუგდიდიც გემშვიდობება მარადიული სიჩუმის ლამაზო ბინადარო, ოდიშართა მიერ არაერთგზის ნაფერებო, დაუვიწყარო რეზო ბატონო!

ზ. ცხონდია.

დღის წესრიგშია — სასურსათო პროგრამა

# მიწას შეეხო პატრონის ხელი

კარგა ხანია მიწას განუდგა გლეხი. არ სრულდებოდა კოლმეურნეობაში ერთწლიანი კულტურების მოსავლიანობის გეგმები, იხარჯებოდა დიდძალი თესლი, შრომა, მაგრამ... დაბალი იყო მოსავლიანობა. კომპლექსურ-ინდუსტრიული მეთოდით შრომამაც ვერ უშველა ამ დარგს.

მიმდინარე წელს არსებითად შეიცვალა მდგომარეობა. კოლმეურნეობამ საიჯარო შეღავათიანი ფულადი თანხის გადახდით გადასცა მიწა მოიჯარეებს. ხელშეკრულების ერთ-ერთ მუხლში აღნიშნულია, რომ „იმ შემთხვევაში თუ მოიჯარე მიწას არ გამოიყენებს ერთწლიანი კულტურებისათვის, ასევე, არ მოუვლის მიმაგრებულ ფართობებს, არ გაზრდის მოსავლიანობას ჩამოერთვას მიწის ნაკვეთი". ამ ღონისძიებათა გატარებით საგრძნობლად გაიზარდა კოლმეურნეთა დაინტერესება.

85 ჰექტარი გადაეცა მოიჯარე მეცხოველეთა 8 ოჯახს, რომლებმაც უნდა აწარმოონ 840 ცენტნერი რძე და 640 ცენტნერი ხორცი. ასევე, 135 ჰექტარი სასიმინდე ფართობი გაუნაწილდა 850 კოლმეურნეს მარცვლოვანი კულტურებისათვის.

მიწას დაეტყო მზრუნველი პატრონის ხელი. იგი დამუშავდა აგროწესების გატარებით. ადრე ბარდებლით დაფარულ ფართობებში გაავლეს კვლები და დაითესა მარცვლეული. დღეისათვის მიმდინარეობს მეორე გათოხნა. მუშაობის ნადურმა წესმა მინდვრად გაიყვანა დიდი და პატარა. უნდა გენახათ რა მარჯვედ ხმარობდა თოხს რიყელი ინჟინერი ვალიკო ვეკუა.

მარჩენალი მიწის სიყვარულმა უნდა გადაძლიოს ყველა ბარიერი. გაპიროვნებული მიწებიდან უნდა ვაწარმოოთ პროდუქციის მაქსიმუმი, რამე თუ სასურსათო პროგრამა კვლავაც რჩება გადაუჭრელ პრობლემად.

თ. ფაცაცია,
რიყის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი.

ვეტერანი პოლიგრაფისტი

# კვლავაც სიმხნევე

„საქართველოს პოლიგრაფია"— ასე ჰქვია რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტისა და ბეჭდვითი სიტყვის საკავშირო სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური გამგეობის ბიულეტენს, რომელიც კვარტალში ერთხელ გამოდის. წლევანდელ მეორე ნომერ ბიულეტენში სათაურით „ვულოცავთ დაბადების 60 წელს", გამოქვეყნებულია წერილი ზუგდიდელი ვეტერანი პოლიგრაფისტის, გაზეთ „ოდიშის" მბეჭდავ-მექანიკოსის გიორგი (ჟორა) ჯგუშიას შესახებ.

წერილში მიგნებული შტრიხებითაა ნაჩვენები გამრჯე ადამიანის სულიერი პორტრეტი, პრესის ერთგული მსახურის მიერ დღემდე განვლილი შინაარსიანი გზა.

„კახათელ ყმაწვილს სწავლის პერიოდშიც იზიდავდა ჟურნალ-გაზეთები, დიდხანს ატრიალებდა ხელში ამა თუ იმ ჟურნალს, შემდეგ კი ფიქრს მიეცემოდა: აი, დავამთავრებ საშუალო სკოლას, შემდეგ კი ზუგდიდის სტამბაში მივალ. არ ვიცი მიმიღებენ, ან რა ვაკეთო,.. და მაინც მივალ. მართლაც, 1952 წელს მივიდა ზუგდიდის სტამბაში გიორგი ჯგუშია",— ასე იწყება აღნიშნული პუბლიკაცია.

იმ დღიდან ბევრმა წყალმა ჩაიარა. წლებმა გამოცდილება მოუტანა. დაოსტატდა, სრულყოფილად დაეუფლა პოლიგრაფისტის რთულ პროფესიას. მბეჭდავ-მექანიკოსს არა აქვს წუთით მოსვენება. ხან ლინოტიპს სჭირდება მისი ხელი, ხან შემკვრელს უნდა შეაწიოს ერთი-ორი სიტყვა... სიმხნევეს არ უჩივის, ვერც შეატყობთ სამოცი წლის სიმძიმე თუ აწევს მხრებზე. დაფასება? დიახაც რომ არ აკლია დაფასება და კოლექტივის სიყვარული.

კვლავაც სიმხნევე და მხნევრძელობა ვეტერან პოლიგრაფისტს!

# მეტად საჭირო წიგნი

ცნობილმა იურისტმა და სოციოლოგმა ჯამბაკურ ბაქრაძემ გამოსცა მეტად საინტერესო წიგნი: „საქართველოს სსრ მოსახლეობის პოპულაციის სოციოლოგიური გამოკვლევა და სოციალ-ეკონომიკური პროგრესის ღონისძიებათა პროექტი".

ავტორი თანმიმდევრულად გადმოგვცემს საქართველოს მოსახლეობის შესახებ მეცნიერულ ცოდნას, ეხება მის წარსულს, აწმყოს და მომავალს...

პირველად ჩვენს მეცნიერულ ლიტერატურაში ჯ. ბაქრაძემ დაასაბუთა თურქეთში შვიდი მილიონი ქართველის არსებობა და ცხოვრება. გვაწვდის ახალ ცნობებს ქართველთა მოსახლეობის შესახებ. ეხება აფხაზეთის, აჭარის და სამხრეთ ოსეთის რეგიონების სოციალურ პრობლემებს. აყალიბებს ჩვენი ხალხის გამრავლების სოციოლოგიურ ღონისძიებებს, მის ხელშემშლელ მიზეზებს და სხვა.

ნანა ნადირაძე,
ჟურნალისტი.

# მუხლჩაუხრელი მენახოს მუდამ...

აკვანი —ქართველი ერის საუნჯე...

აკვანი —სიმღერე...

აკვანი—ქართველთა სიმრავლე...

აკვანი—ამ სიტყვის ხსენებაც კი ქართველი კაცის გულსა და გონებაში მაღალზნეობრივ გრძნობებს აღძრავს. ამ სიტყვის სიღიადით მონიჭებული ასოციაცია მუდამ უკავშირდება საქართველოს სახელოვანი წარსულის რომანტიკულ ფურცლებს. საუკუნეთა მანძილზე სიტყვაკაზმული ქართული ენით, დაუშრეტელი ენერგიით უმღეროდნ ქართველი კაცი აკვანს, როგორც ადამიანისა და ბუნების ერთიანობის უწმინდეს გამოხატულებას.

ბევრი კარგი შვილი ახსოვს აკვანს. სათუთად, დედაშვილური სიყვარულით გამოუზრდია არაერთი კერპად ქცეული პიროვნება. სწორედ ასეთ აკვნებზე იტყოდნენ—„დაილოცოს შენი გამომთლელიო"...

მუდამ დიდი პატივით სარგებლობდა მეაკვნე, როგორც ერის მომავლისათვის მუხლჩაუხრელი და თავმეუმშრალი მუშაკაცი. ოდითგანვე მრავლად იყვნენ აკვნის ოსტატები, და რაოდენ დასანანია, რომ დღესდღეობით თითზე ჩამოსათვლელნი დარჩა ამ უძველესი ხელობის მცოდნენი.

ჩვენი ქალაქის მკვიდრია თავისი საქმის უბადლო ოსტატი კარლო პაჭკორია, რომელიც წინაპართაგან მიღებულ აკვნის გამოთლის მაგიურ ძალას ფლობს; საოცრად ესიყვარულება თითოეულ ნაწარმოებს, უდიდეს მონდომებას აქსოვს ყოველ მათგანში. ეამაყება ოსტატს, რომ მისი ნახელავი სჭირდება ხალხს.

ვუცქერით შრომაში გართულ ოსტატს და უნებურად გვახსენდება პოეტის სიტყვები: „მუხლჩაუხრელი მენახოს მუდამ, აკვნის გამთლელი საქართველოში".

მ. ლუგელაძე,
თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი.

მრავალტირაჟიანი გაზეთების ფურცლებზე

# „განთიადი"

ასე ეწოდა ახალსოფლის კოლმეურნეობის მრავალტირაჟიან გაზეთს ახალსოფლის საზოგადოებრივი ცხოვრების მატიანეს (რედაქტორი ნ. ჯგუშია).

„სინათლე იხილა „განთიადმა", ასეთი სათაურით დაიბეჭდა მოწინავე წერილი აღნიშნულ გაზეთში, სადაც ვკითხულობთ:

—დღეს კოლმეურნეობის მრავალტირაჟიან გაზეთს, რომელიც ადრე „კომუნისტურ შრომად" იწოდებოდა 33 წელი შეუსრულდა, მისი პირველი ნომერი 1957 წლის 30 ივნისს დაიბეჭდა. დაარსების დღიდანვე გაზეთი აქტიურად მონაწილეობდა და ასახავდა საკოლმეურნეო ცხოვრებას.

გაზეთის პირველი ნომერი, გამოსაცემად მოამზადა იმ დროს პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ბოჩია ჯოჯუამ. მისი პირველი რედაქტორი იყო აგრონომი ჭუტა ჩიქოვანი. გაზეთს სხვადასხვა დროს რედაქტორობდნენ ვარლამ ჯიქია, ბიქტორ ქობალია, ვალიკო აბსანძე, გოგი რევია და სხვები.

—დღეს კი,—ვკითხულობთ მოწინავე წერილში,—გაზეთის მკითხველს ვთავაზობთ ახალ სახელწოდებას „განთიადი", დაე, მან წარმატებები მოუტანოს სოფლისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პენსიონერთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის

სსრ კავშირის კანონების შესაბამისად სამამულო ომის ინვალიდებს, ომის მონაწილეებსა და ომში დაღუპულ მებრძოლთა ოჯახებს 1990 წლის 1 ოქტომბრიდან გაუდიდდებათ ადრე დანიშნული პენსიები. ახალი გადიდებული პენსიის ოდენობა პირდაპირპროპორციულად დამოკიდებული იქნება საერთო შრომის სტაჟის ხანგრძლივობაზე, საშუალო ხელფასზე, პენსიის თავდაპირველი დანიშვნის (პენსიაზე ყოფნის ვადაზე), ინვალიდობის ჯგუფზე.

კანონი ადგენს დიდი სამამულო ომის წლებში სამხედრო სამსახურის პერიოდის შეღავათიანი წესით გამოთვლას, კერძოდ, საბრძოლო მოქმედებების დროს სამხედრო სამსახური, მათ შორის ინტერნაციონალური მოვალეობის შესრულებისას, აგრეთვე პარტიზანულ რაზმებსა და შენაერთებში ყოფნა ჩაითვლება სამსახურის ერთი თვე სტაჟის სამ თვედ. აღნიშნულ პერიოდში სხვა სახის სამხედრო სამსახური ჩაითვლება ორმაგად.

სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში სამსახურისა და ტყვეობაში ყოფნის დამადასტურებელ საბუთად მიიღება: სამხედრო ბილეთი, წითელარმიელის წიგნაკი, სსრკ თავდაცვის სამინისტროს, სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს, სსრკ უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის, დაწესებულებებისა და შტაბების, სამხედრო ნაწილების, სამხედრო კომისარიატების მიერ გაცემული ცნობები.

დიდი სამამულო ომის წლებში პარტიზანულ შენაერთებსა და რაზმებში ყოფნის დრო დგინდება პარტიზანული მოძრაობების შტაბების ან პარტიული საარქივო ცნობების მიხედვით. სამამულო ომის მონაწილეებს, რომლებიც ღებულობენ ასაკით პენსიას, მუშაობის პერიოდში პენსია მიეცემათ სრულად, გამომუშავების, დაკავებული თანამდებობისა და სამუშაო ადგილის მიუხედავად.

1990 წლის 1 ივლისიდან სამამულო ომის ინვალიდებს მათი სურვილის მიხედვით სანატორიუმისა და დასასვენებელი სახლის საგზურის ნაცვლად ორ წელიწადში ერთხელ მიეცემათ ფულადი კომპენსაცია შემდეგი ოდენობით: პირველი-მეორე ჯგუფის ინვალიდებს 100 მანეთი, მესამე ჯგუფის ინვალიდებს 80 მანეთი.

სამამულო ომის მონაწილეებს მიეცათ უფასოდ მგზავრობის უფლება რკინიგზის და წყლის საგარეუბნო ტრანსპორტით და საგარეუბნო საავტომობილო მარშრუტებით, მათვე უფლება მიეცათ სურვილის მიხედვით ორ წელიწადში ერთხელ უფასოდ იმგზავრონ (აქეთ-იქით) რკინიგზის, წყლის, საჰაერო ან საქალაქთაშორისო საავტომობილო ტრანსპორტით, ან 50 პროცენტიანი შეღავათით წელიწადში ერთხელ (აქეთ-იქით) აღნიშნული ტრანსპორტის სახეობებით.

ასეთია მოკლედ საპენსიო ოფორმის საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული სიახლეები, რომლებიც 1 ოქტომბრიდან შეეხება ომის ვეტერანებს, ომში დაღუპულთა ოჯახებს. ყველა სამამულო ომის მონაწილე, რომელმაც თავის დროზე არ გაიარა სამხედრო რეგისტრაცია, აუცილებელია გამოცხადდეს სამხედრო კომისარიატში აღრიცხვაზე ასაყვანად.

განუზომელია საპენსიო რეფორმის მნიშვნელობა და როლი ქვეყნის შრომისუუნარო მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების საქმეში. იგი უდიდესი სოციალური ღონისძიებაა, რომლის შედეგად გადაწყდება ორი ძირითადი პრობლემა: ყველა შრომისუუნარო მოქალაქეს დაენიშნება პენსია, არსებითად გაუმჯობესდება პენსიონერთა მატერიალური მდგომარეობა, პენსიების ოდენობა საშუალოდ 40 პროცენტით გაიზრდება, ხოლო ასაკის პენსიის საშუალო ოდენობა ხელფასის 60 პროცენტს მიაღწევს.

**თ. ჯაფარიძე,**
ზუგდიდის რაიონის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგე.

## ნარაზენელი „მათუსალა"

ნარაზენელმა ალექსანდრე ბიგვავამ 110 წელს მიაღწია. მან შვიდი შვილი გაზარდა. ყოველი მათგანი თავისი შესაძლებლობის მიხედვით ილწვის მშობლიურ სოფელში, ბევრი რამის მნახველ და გადამტან ბერიკაცს 102 შვილიშვილი და ბადიში ყავს. ხარობს მოხუცი კაცის გული, იმის იმედით ივსება, რომ ხვალ და ზეგ უფრო ბედნიერი და ლაღი ცხოვრება ექნება თავის შთამომავლობას. მართალია ჯანი დააკლდა, თვალის ჩინიც შეუსუსტდა, მაგრამ ცხოვრებისადმი ინტერესს მაინც არ კარგავს.

კვლავაც ეხაროს ამაგდარის გულს.

**ბ. ბიგვავა,**
ჩვენი კორ.

მწვავე სიგნალი

## ატს-ი უნდა ამუშავდეს

სოფელ ორულში დაიდგა 100 ნომრიანი „ატეესი", რომელიც კარგა ხანია უმოქმედოდაა. არაერთხელ მივმართეთ კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის ხელმძღვანელებს, მაგრამ ყურიც არავინ არ გვათხოვა, მათი „განმარტებით" თურმე „ატეესს" მეხი დასცემია. გადის დრო, ჩვენი გასაჭირი არავის არ აწუხებს. როგორ შეიძლება საფოსტო განყოფილების ტელეფონი თვეობით არ მუშაობდეს. სოფელში ხომ იგზავნება დეპეშები, სასწრაფო შეტყობინებები, როგორ მოიქცეს ფოსტის გამგე? ამასთან ფულადი შემოსავალი ხომ აკლდება რაიონულ კვანძს.

ნუთუ არაფერი ეშველება „მეხდაცემულ ატეესს"?...

**კაპიტონ როგავა.**

## შინაგან საქმეთა საქალაქო-რაიონული განყოფილებიდან იტყობინებიან

მიმდინარე წლის 5 აგვისტოს, დაახლოებით 24 საათზე, სოფელ ცაიშის ტერიტორიაზე მსუბუქი ავტომანქანა „ვაზ—2109", რომელსაც მართავდა მარტვილის რაიონის სოფელ დიდიჭყონში მცხოვრები, 1963 წელს დაბადებული ემზარ პარმენის ძე გულორდავა დაეჯახა მოქალაქე ფ. სამუშიას, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა.

* * *

მიმდინარე წლის 4 აგვისტოს გაქურდულ იქნა სოხუმის ქუჩა №73-ში მდებარე ბინა, რომელიც ეკუთვნის ჯ. მ. გულუას. ორივე ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება.

## გზა დაულოცეს

ქალაქის №2ა-მა საბავშვო ბაღმა (გამგე ქ. მეუნარგია), არაერთი გონიერი ცვლა მოუმზადა სკოლებს.

წელსაც ბაღმა ბევრი ნიჭიერი ბავშვი გაისტუმრა სკოლაში. ქალაქის №2 საშუალო სკოლის მერხს მიუჯდება ექვსი წლის თათია ქირია, რომელსაც ძალიან იტაცებს პოეზია. ალბათ ნიჭიერ ბავშვთა ლექსებს ჯორის აჟღერდება თათიას ლექსებიც.

**ნ. ქიჩუა.**

რედაქტორი
**აკ. ჭანტურია.**

## განცხადებები, რეკლამები..

მოქალაქეთა საყურადღებოდ!

ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარეობს საქართველოს მოქალაქეთა პასპორტის გაცემა. მსურველებისათვის საჭიროა შემდეგი საბუთები: 1. საბჭოთა კავშირის მოქალაქის პასპორტი ან დაბადების მოწმობის ასლი. თუ პასპორტი დაკარგულია ცნობა მილიციიდან პასპორტის დაკარგვის შესახებ. 2. 4 ცალი ფოტოსურათი 4X5-ზე საქართველოს მოქალაქის პასპორტისათვის. 3. ცნობა სამუშაო ადგილიდან ან საცხოვრებელი ადგილიდან, პასპორტის ახალებად შესაწირი 25 მანეთი.

სამხედრო ბილეთი ან განცხადება საბჭოთა არმიაში აღრიცხვიდან მოხსნის შესახებ.

მსურველებს შეუძლიათ მიაკითხონ შემდეგ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, ლენინის ქ. №8, ზუგდიდის რეგიონალური სახალხო ფრონტის შტაბ-ბინა.

ზუგდიდის პოლიტექნიკურ ტექნიკუმში საბუთების მიღება გრძელდება 16 აგვისტომდე შემდეგ სპეციალობებზე:

დღის დასწრებული განყოფილება (საშუალო დამთავრებულთა ბაზაზე): ხე-ტყის მექანიკური და ქიმიური დამუშავების ტექნოლოგია, ჩაის პროდუქტთა ტექნოლოგია, სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა, ამწე-სატრანსპორტო და სამშენებლო მანქანები და მოწყობილობანი.

დაუსწრებელი განყოფილება (საშუალო დამთავრებულთა ბაზაზე): დაკონსერვების (გემოვნების) ტექნოლოგია, სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა, ამწე-სატრანსპორტო და სამშენებლო მანქანები და მოწყობილობანი.

ტექნიკუმში შემსვლელები წარმოადგენენ შემდეგ საბუთებს: განათლების მოწმობა (დედანი), ჯანმრთელობის ცნობა ფორმა №086 უ, 4 ცალი ფოტოსურათი 3X4 სმ, ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (ვისაც გააჩნია მუშაობის სტაჟი).

**მიმღები კომისია.**

მეუღლე ნიურა, შვილი მურთაზი. შვილიშვილები: სოფიკო, პაპუნა, რძლები ნონა ი შელია. ნატრული ბერულავა, ჟუჟუნა ჩახაია, მადონა როგავა, დარეჯანი დიდიშვილი, დისშვილი ვახტანგ ანთია. ძმისშვილები: ნანა, ზურაბი, მამუკა. სიძე დამიანე ანთია. დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**იპოლიტე გაიოზის ძე გაბისონიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 12, 13 აგვისტოს. დაკრძალვა 14 აგვისტოს სოფ. ხხორიაში.

შვილები: თამარა, ნელი. ეთერი. შაქრო. ჯემალ ლაშხიები.. დები ანეტა, თებრო, სიძე ლერი ჯეჯეია. რძლები ლიდა როდიონოვნა, ლიანა ყორიაშვილი. მოკონა ჩანგელია. მაზლი ვარლამ ლაშხია. მზახლები: ვენია. ილიკო ჩანგელიები, დისშვილები, მულიშვილები, შვილიშვილები იუწყებიან

**ნადე ზურაბის ასულ ქემულარია-ლაშხიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15 აგვისტოს. დაკრძალვა 16 აგვისტოს ზუგდიდში, გამოსვენება თავისუფლების ქ. 134-დან.

შვილები: ხუტუ, ინგა, ძმა დიმიტრი ქირიები, რძალი ეთერი, სიძე ვახტანგ ნაჩყვა, შვილიშვილები კახა, რუსიკო, დათო, ირაკლი, ძმისშვილები, დისშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**იპოლიტე კვატატის ძე ქირია.**

პანაშვიდი 14. 15 აგვისტოს. დაკრძალვა 16 აგვისტოს 5 საათზე. გამოსვენება ქ. ზუგდიდი. ენგელსის 29.

მეუღლე ნელი, შვილები გულიკო. გია. რძლები: თამარ ქირია, თალიკო დარასელია, ლუბა დუროვა. შვილიშვილები: გიორგი. დავითი, ცოლისდები ეთიკო. გულისა ბაძალუები. ცოლისძმები ამირან ჭაჭუა. ვაჟა ბაძალუა. მზახლები ნუნუ. ნოკო ქირიები. ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან

**სულიკო ნიკოლოზის ძე ბერაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 11, 12 აგვისტოს. დაკრძალვა 14 აგვისტოს 18 საათზე, ქ. ზუგდიდი. გამოსვენება ქობულეთის ქ. 46-დან.

შვილი როდიკო, რძალი მერი შანავა. შვილიშვილები ხათუნა. სოსო. ძმა ვარლამი. ძმისშვილები: ფარიზა. რეზო ჭვარელია, რძლები: შურა შანავა. მერი გვალია. მული ზინა ქობალია. მაზლიშვილები: მარგო, გული. ნანული. შოთა, ბონდო, ანტიფო, პალიკო ქობალიები. რძლები: ცაცი, მერი. ენძელა, მუზა. ზანიკო და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ქიონია კოწიას ასულ ჭვარელია-ქობალიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 11. 12 აგვისტოს. დაკრძალვა 14 აგვისტოს 17 საათზე, სოფელ კოცხელში.

პუშკინის ქუჩის უახლოესი მეზობლები იუწყებიან

**ადამურ მიხეილის ძე ლემონჯავას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

რძალი აზა თორია, შვილიშვილი ირაკლი ჭითანავა, დები ნაზია, ლუბა, ძმა ხუტა. ცოლისდები: ანინა. ცეცა. ცოლისძმები: მამია, ორდენი კუტალიები, მზახალი ლუბა თორია, ძმისშვილები: ნუნუ. ნონა. იგორი. ტოლიკი. დისშვილები: ნაირა, ლეილა. ნოდარი, რადიონი გვარამიები. ნათელა კალანდია. რძლები: ოლია. ტატიანა, ვარო. მარუსია. სიძე ალექსანდრე კალანდია. ქვისლი ყორა ჩიხლაძე, ბიძაშვილები. დეიდაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან

**ფილიპე (ფედია) ქიბარის ძე ჭითანავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 11, 12. 13 აგვისტოს. დაკრძალვა 14 აგვისტოს 17 საათზე. გამოსვენება ლენინის 191-დან.

მეუღლე კუჭიკო. შვილები ნონა. ნინელი. სიძე კოტე რაფავა. რძალი ვალია. მული იმედო. შვილიშვილები: დათო. ნინო. დალი რაფავები. ბაკურ თორდია. ძმისშვილები ეთერი. ლონდა. ჯამილა. პაატა. ჯუმბერი. ჯამბული. ავთანდილი, ალეკო გულუები, მულიშვილები მზია. ზოია. შონარი ჩანგელიები. ეთერი. ბექანი. რაჯი ხარებავები. ბიძაშვილები. ახლო ნათესავები იუწყებიან

**ლიზა დიანოზის ასულ გულუა-კვარაცხელიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15 აგვისტოს. დაკრძალვა 16 აგვისტოს სოფ. ჯგალში (წალენჯიხის რაიონი).

ИНДЕКС 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი. მერაბ კოსტავას ქ. № 52 ტელეფონები: რედაქტორის —2-24-80, რედაქტორის მოადგილის—5-85-69, პასუხისმგებელი მდივნის —2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78 მშრომელთა წერილების 2-25-12, ხალიორედაქციის —2-47-09

საქ. სსრ გამომცემლობის ზუგდიდის სტამბა. მერაბ კოსტავას ქ. № 58 ტელეფონი 2 23 07 ტირაჟი 22000. შეკ. №3627